საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

26 თებერვალი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №60/17

-- -- 2017 წლის 11 აპრილის №60 და -- -- 2017 წლის 29 მაისის №91 საჩივრების საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 2 თებერვლის დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1 №-- საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი -- --, 2004 წლიდან სასჯელს იხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. 2006-2011 წლებში -- -- გახდა სად-ის თანამშრომელთა მხრიდან წამების მსხვერპლი, რამაც არსებითად დააზიანა მისი ჯანმრთელობა. იგი სასჯელის მოხდის პერიოდში დაავადდა ,,C“ ჰეპატიტით (2007 წელი),

ასევე წამების შედეგად დაავადდა შაქრიანი დიაბეტით (2010 წელი). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს -- წლის --- გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული -- -- აღიარებული იქნა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევის მსხვერპლად. -- წლის ---, მსჯავრდებულს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი სასჯელაღსრულების №-დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან სისტემატიურად განხორციელებული ცემა-წამების ფაქტზე. 2014 წლის 25 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენით, სად-ის №-დაწესებულების თანამშრომლები ცნობილ იქნენ დამნაშავედ მსჯავრდებულ -- -- მიმართ განხორციელებულ წამებაში. იგივე განაჩენი დარჩა ძალაში სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში. საქმესთან დაკავშირებით -- -- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა -- -- სასამართლოს, სადაც მოპასუხე არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. საქმე ეხება ზიანის ანაზღაურებას და ჯანმრთელობის შენარჩუნებას. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ აღნიშნულ საქმეზე მოსამართლემ 2016 წლის 12 თებერვალს ჩაატარა მხოლოდ ერთი მოსამზადებელი სხდომა, რაც გადაიდო იმ მიზეზით, რომ მოპასუხე მხარეს დაევალა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების წარდგენა. მოპასუხე მხარემ მოთხოვნილი დოკუმენტები წარადგინა ერთი თვის ვადაში 2016 წლის 11 მარტს, რის შემდეგაც გასულია ერთი წელი და ერთი თვე (2017 წლის 11 აპრილის მდგომარეობით) და მოსამზადებელი სხდომა კიდევ არ არის ჩანიშნული.

1.2 №-- საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ №- სასჯელაღსრულების თანამშრომლებმა მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც ვიდეოკამერით გადაიღო საპყრობილის მუშაკმა. აღნიშნული ვიდეოს გაშუქება მოხდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. 2015 წლის 21 მაისს მან თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულ საქმეს იხილავდა მოსამართლე -- --, რომელმაც საქმის განხილვისათვის პირველი სასამართლო სხდომა ჩაატარა 2015 წლის 9 დეკემბერს, ხოლო შემდგომი სხდომა - 2016 წლის 2 მარტს. გამომდინარე იქიდან, რომ მას შემდეგ საქმეზე მოსამართლის მხრიდან არანაირი მოქმედება არ განხორციელებულა, საჩივრის ავტორმა მოითხოვა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1 2015 წლის 1 დეკემბერს -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართ, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ფიზიკური და მორალური ზიანის - 500 000 ლარის ანაზღაურებისა და მკურნალობის დავალდებულების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 დეკემბრის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 17 თებერვალს.

საქმეზე სასამართლოს მორიგი სხდომა გაიმართა 2017 წლის 6 დეკემბერს, ხოლო ამავე სხდომაზე საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 26 იანვარს.

შემდგომი სასამართლო სხდომა მხარეთა შეკითხვების ეტაპიდან გადაინიშნა 2018 წლის 14 თებერვალს, ხოლო შემდგომი სასამართლოს მთავარი სხდომა მხარეთა პაექრობის ეტაპიდან გადაინიშნა 2018 წლის 23 თებერვალს.

2.2 2015 წლის 25 მაისს -- -- სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართ, წამებისა და არაადამიანური, ღირსებისა და პატივის შემლახავი მოპყრობის გამო, მორალური ზიანის - 100 000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული -- -- სარჩელი.

2015 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა, 2015 წლის 9 დეკემბერს.

შემდგომი სასამართლო სხდომა გაიმართა 2016 წლის 23 თებერვალს, რის შესახებაც კანონით დადგენილი წესების დაცვით ეცნობათ მხარეებს.

საქმეში არსებული ცნობის საფუძველზე დასტურდება, რომ 2016 წლის 23 თებერვალს დანიშნული სხდომა მოსამართლის სემინარზე ყოფნის გამო, გადაინიშნა 2016 წლის 2 მარტს.

2016 წლის 2 მარტის სასამართლოს მთავარი სხდომა შეკითხვების ეტაპიდან გადაიდო სხვა დროისთვის.

-- -- არაერთ განცხადებას (04.04.2016; 05.05.2016; 14.06.2016; 18.08.2016; 26.10.2016; 10.03.2017) საქმის განხილვის დაჩქარების თაობაზე -- -- სასამართლოს მოსამართლის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 20 დეკემბერს.

2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ მორალური ზიანის - 4000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს 2018 წლის 4 იანვარს გაეგზავნათ.

არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოსამართლე -- -- 2016 წელს განსახილველად ქონდა 415 საქმე, საიდანაც დაასრულა 126 (30%), ხოლო 2017 წელს განსახილველად ქონდა 685 და დაასრულა - 557 საქმე (81%).

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ არსებობდა დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი, ხოლო ოთხმა წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების ცალსახა საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

ამდენად, ვინაიდან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა დაუჭირა მხარი, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №60/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი